MES 2 23 0001053139

30/08/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 15.08.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:09 სთ.
სხდომის დასრულების დრო: 15:38 სთ.
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: გურანდა ჭელიძე (I, II)
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი (III, IV, V, VI, VII)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1.გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2.რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3.ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო

კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4.ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5.ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6.მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7.ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8.ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9.თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
10.მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
11.ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12.ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13.ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14.თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15.ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
16.გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი, სხდომის მდივანი;
17.მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

სახელი, გვარი	**სტატუსი**
თემური თექთუმანიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
თინათინ ბაჯელიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ედვინ სირბილაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გიორგი მირიანაშვილი	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სტუდენტის მხარდაჭერისა და სწავლა-სწავლების საკითხებში	I, II
2	თეა სამჭკუაშვილი		საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
3	ნინო შოშიტაშვილი		ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	I, II
4	ნინო ლაბარტყავა		ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
5	ნინო ტალიაშვილი	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	რექტორი	III
6	ნინო ფეტვიაშვილი		ასისტენტ-პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
8	მარიამ რამინაშვილი		ასისტენტ-პროფესორი, ლექტორი	III
12	სალომე პირველი	შპს - თბილისის თავისუფალი აკადემია	რექტორი	IV
13	მარინე კობალავა		ვიცე-რექტორი	IV
21	ანჟელა აბულაძე		ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
22	ანკა თაბუკაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	V
23	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	V
24	ლევან ტატიშვილი		თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	V

25	ნოდარ ამაშუკელი	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	პრორექტორი, პროფესორი, "გარემოს დიზაინის" პროგრამის ხელმძღვანელი	**VI, VII**
26	ნანა ქუთათელაძე		პროფესორი, არქიტექტურის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**VI, VII**

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული სა შუალებით მონაწილეობის შესა ხებ**	**საკითხი**
1	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
2	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
3	ნანა ბურდული	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
4	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**
5	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
6	ხვთისო მამისიმედიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
7	ზაალ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**V**
8	გიორგი წანაწყენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**V**
9	ნინო ხაბეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**VI, VII**
10	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**VI, VII**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:09 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
3. შპს ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. შპს თბილისის თავისუფალ აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "თავისუფალი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);
7. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,გარემოს დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა).

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
3. შპს ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. შპს თბილისის თავისუფალ აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "თავისუფალი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);
7. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,გარემოს დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა).

1. პირველი საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12/07/2022; №794252
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ), თბილისი, 0159, საქართველო. თამარ მეფის ქუჩა №60, ბათუმი, მახინჯაური, 6000, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა რატი რატიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ნინო ფარსადანიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ აკრედიტაციის პროცესში გაცემული 15 რეკომენდაცია უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა. მისი თქმით, რეკომენდაციები ეხებოდა პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებს. რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე ცვლილებები შევიდა როგორც პროგრამაში, ისე საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტებში. კერძოდ, დაზუსტდა პროგრამის მიზნები, ცვლილება შევიდა პროგრამის ინგლისურენოვან სახელწოდებაში, გადალაგდა პროგრამის სასწავლო კურსის წინაპირობები, დაზუსტდა სასწავლო კურსების შინაარსში ლიტერატურა. პროგრამა გამდიდრდა ახალი სასწავლო კურსებით, ასევე დარგის შესაბამისი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალით. გარდა ამისა, გააქტიურდა სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობა თემატურ, საერთაშორისო და ადგილობრივ აკადემიური აქტივობებში. ასევე დაზუსტდა შიდა ხარისხის მექანიზმები და გააქტიურდა პროგრამის პერიოდული მონიტორინგი. ამრიგად, პროგრამაში განხორციელებული ყველა ცვლილების შედეგად პროგრამა სრულ შესაბამისობაში მოვიდა რეკომენდაციებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი გიორგი მირიანაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

სხდომაზეგამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:15
დასრულების დრო: 14:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის 2[11] პუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში.

2. მეორე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია / Psychology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31.01.2023, N90477
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Psychology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი (საქართველო)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა რატი რატიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ლილი ხეჩუაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმური მონიტორინგი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 16 ივლისს. მისი თქმით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამის მიმართ გაიცა 8 რეკომენდაცია და 3 რჩევა. უნივერსიტეტმა როგორც რეკომენდაციები, ისე რჩევები სრულად გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი მირიანაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:22
დასრულების დრო: 14:24

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. მესამე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავროსამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	24.06.2022, №702420
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური (ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საფეხური)
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი (საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელი)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელი
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით 0114
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	გურამიშვილის გამზირი №76, თბილისი, 0141, საქართველო სარაჯიშვილის ქ. №17, თბილისი, 0189, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მიხეილ გიორგაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ერთი რეკომენდაცია ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ უნივერსიტეტის მიერ პრაქტიკულ ნაწილში ერთი კომპონენტი არის შეტანილი, რომელიც ეხება როგორც „კვლევის ინოვაციური მეთოდების“ სასწავლო კურს, ისე „პრაქტიკის კვლევას“. მისი თქმით, ორივე კურსში ერთი კომპონენტია შეცვლილი, კერძოდ პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტი. აღნიშნული კურსები ორიენტირებულია კვლევის თეორიული საფუძვლების შესწავლაზე. შესაბამისად, რეკომენდაციაში დაკონკრეტდა, რომ ორივე კურსში უნდა ინტეგრირდეს კვლევის პროცესი, რათა სტუდენტმა შეძლოს კვლევის დაგეგმვა და მონაცემთა შეგროვება. ექსპერტის აზრით, გაუგებარია რისთვის და რა მიზნით სჭირდება სტუდენტს ანკეტა - კითხვარების შევსება. დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ რამინაშვილმა განაცხადა, რომ ანკეტა - კითხვარს ქმნის სტუდენტი ე.ი. ის შეიმუშავებს ისეთ კითხვებს, რომლებიც საჭიროა კონკრეტული საკითხის კვლევისათვის. ამის შემდეგ დამოუკიდებლად განახორციელებს ანკეტა - კითხვარის მეშვეობით ინფორმაციის მოპოვებას. და ბოლოს, რაც უმთავრესია, მოპოვებული ინფორმაციის შესახებ წარადგენს პრეზენტაციას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტი ავსებს არა ანკეტა - კითხვარს, არამედ აგროვებს მონაცემებს. ამიტომ, აუცილებელია პროგრამაში დაზუსტდეს ანკეტა - კითხვარის როლი სტუდენტის კვლევის პროცესში. ნინო ფეტვიაშვილის თქმით, ეს არის ისეთი პროგრამა, რომელიც არცერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ გააჩნია. ის ხარვეზები, რომლებიც ამ პროგრამას აქვს უახლოეს მომავალში გამოსწორდება. ექსპერტმა მიხეილ გიორგაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს შეფასების ნაწილს და სწავლის პროცესის დროს მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ კვლევით დავალებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ფეტვიაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაიცა 4 რეკომენდაცია. ექსპერტის დასკვნის მიხედვით, სამი სრულად, ხოლო ერთი რეკომენდაცია ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ნინო პეტვიაშვილის თქმით, რეკომენდაცია, რომელიც შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტს განსხვავებული პოზიცია აქვს. მარიამ რამინაშვილმა განაცხადა, რომ პრაქტიკული ნაწილი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკული კურსის ნაწილში კვლევის ეპიზოდი სამი სასწავლო კურსისგან შედგება, რაც გულისხმობს პრაქტიკულ

საქმიანობას. თეორიული და პრაქტიკული საქმიანობები პარალელურად მიმდინარეობს. ნებისმიერი თეორიული საკითხის პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად გავლისას უნივერსიტეტის ყოველი ლექცია დატვირთული აქვს შესაბამისი „ქეისების“ განხილვით. საბოლოო შეფასება ხდება კომბინირებული ტესტით, რომელიც აფასებს როგორც შუალედურ, ისე დასკვნით გამოცდაზე მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. მარიამ რამინაშვილის თქმით, რეკომენდაციის საფუძველზე შეიცვალა შეფასების ერთი კომპონენტი, კერძოდ რეფერატი ჩანაცვლდა პრეზენტაციით იმიტომ, რომ სტუდენტს შესაძლებლობა მიეცეს თეორიული ცოდნა პრაქტიკულად დაადასტუროს ე.ი სტუდენტმა პრეზენტაციის დროს ინგლისურად უნდა ისაუბროს და გამოამჟღავნოს ის უნარები, რომლებსაც პრაქტიკულად გამოიმუშავებდა სასწავლო კურსების გავლისას. ასევე, შეფასებას დაემატა ანკეტა - კითხვარების პროცესი, რომელთა დაკავშირებითაც გაჩნდა კითხვები. მისი თქმით, ანკეტა - კითხვარი ამოწმებს სტუდენტის მიერ მოძიებულ ინფორმაციის ანალიზსს და მის გამოყენებას პრაქტიკაში. ეს კურსები ეფუძნება არა მხოლოდ თეორიულ ბაზას, არამედ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომლებიც რელევანტურია კვლევის მიმართულებით ნებისმიერი სტუდენტისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ინტერესდებიან თუ არა აბიტურიენტები საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამით. დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ტალიაშვილმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე არ არის გამოცხადებული სტუდენტთა მიღება პროგრამაზე. სტუდენტთა მიღება წინა წელს იყო გამოცხადებული, თუმცა არცერთი სტუდენტი არ ჩარიცხულა პროგრამაზე. გოდერძი ბუჩაშვილს იკითხა, თუ რა გეგმა აქვს უნივერსიტეტს დასახული პროგრამაზე აბიტურიენტთა მისაღებად. ნინო ტალიაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება ცდილობს გაზარდოს აბიტურიენტების ცნობადობა პროგრამის მიმართ. მისი თქმით, უნივერსიტეტი მომავალში გეგმავს, რომ „PR” კამპანია დაიწყოს სკოლებში, რათა აბიტურიენტებმა მეტი ინფორმაცია მიიღონ აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. ნინო ტალიაშვილის აზრით, პროგრამის მიმართ ინტერესი იმიტომ არ არის, რომ პროგრამაზე სწავლება ფასიანია. მსგავსს პროგრამებს სახელმწიფო უნივერსიტეტები კერძო უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით სრულად აფინანსებენ. შესაბამისად, სტუდენტს, რა თქმა უნდა, ურჩევნია ისწავლოს უფასო პროგრამაზე, ვიდრე ფასიანზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 14:53

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის 2[11] პუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში.

4. მეოთხე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალ აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№76907, 27/01/2022; №391202, 06/04/2023
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, საბურთალო, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N46
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ნინო პოპიაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს თბილისის თავისუფალ აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელდა არაგეგმური მონიტორინგი. მისი თქმით, უნივერსიტეტს დაევალა ერთი სავალდებულო რეკომენდაციის შესრულება, კერძოდ რეკომენდებული იყო ყველა საგნის სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის მითითება. ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ასევე, დაეთანხმნენ წინა ექსპერტების მიერ გაცემულ ორ რჩევას. ნინო პოპიაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამის ყველა სილაბუსში ძირითადი ლიტერატურა მითითებულია, თუმცა სასურველია მითითებული იყოს არჩევითი სახელმძღვანელოებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი სალომე პირველი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხდა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული იყო ერთი რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ შეასრულა. წინა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ახლო მომავალში გაითვალისწინებს რჩევებს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:06
დასრულების დრო: 15:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს თბილისის თავისუფალ აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223

ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს თბილისის თავისუფალ აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "თავისუფალი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თავისუფალი მეცნიერებები /Liberal Arts
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.03.2019 №68
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	თავისუფალ მეცნიერებათა ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0288 - ინტერდისციპლინური – მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	დავით აღმაშენებლის ხეივანი 240, თბილისი 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ზაალ კიკვიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს არაგეგმური მონიტორინგის ფარგლებში შესასრულებელი ჰქონდა ორი რეკომენდაცია. მისი თქმით, რეკომენდებული იყო, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის გამოყენებულიყო დამატებითი მექანიზმები, შეფასების არაპირდაპირი მეთოდებიც, მაგალითად, კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულის და დასაქმების მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა და მათ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და სხვ. ასევე, რეკომენდებული იყო, რომ პროგრამის აღწერილობაში სწავლის შედეგებს დამატებოდა ის სწავლის შედეგები, რომლებიც აღიწერება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კრიტერიუმის შესაბამისად და რომლებიც მიიღწევა პროგრამაში წარმოდგენილი ცალკეული სასწავლო კურსების გავლის შედეგად. ზაალ კიკვიძის თქმით, უნივერსიტეტმა ორივე რეკომენდაცია შეასრულა. თავდაპირველად პირველი რეკომენდაცია მეტწილად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ პირველი რეკომენდაცია სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ანკა თაბუკაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:13
დასრულების დრო: 15:14

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "თავისუფალი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "თავისუფალი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა)

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა/ Architecture
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№140, 21/10/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი / Bachelor of Architecture
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება / Architecture and Town Planning
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	249
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. 22
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,გარემოს დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა)

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გარემოს დიზაინი / Environmental Design
2		

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№142; 21/10/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი / Bachelor of Architecture
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება / Architecture and Town Planning
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	250
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ 22.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა მარინე მაისურაძემ და ნინო ბაქრაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე და მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ნინო ხაბეიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა თავისი შინაარსით დარგობრივ ჭრილში კარგად აწყობილი პროგრამაა. მისი თქმით, ყველა კომპონენტი დინამიკურად ვითარდება მარტივიდან რთულისკენ, რომელიც უზრუნველყოფს იმ მიზნების მიღწევას, რომლებიც პროგრამით არის დასახული. გარდა ამისა, სწავლის შედეგები რეალისტური და გაზომვადია, რომლებიც სრულად მიყვება დარგობრივ მახასიათებელს. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციები ტექნიკური ხასიათისაა, რომლებიც უკავშირდება სილაბუსებში დაშვების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა, თუმცა თავისი პოზიცია ჰქონდათ ერთ რჩევაზე. როგორც ცნობილია, რჩევა არ არის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის, ამიტომ, ექსპერტებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ ამოეღოთ აღნიშნული რჩევა. ნინო ხაბეიშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებას აქვს პროგრამების განხორციელების ათწლოვანი ისტორია. პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გაცემული რეკომენდაციები სრულად დაძლევადია. ,,გარემოს დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" თანახმად: „გარემოს დიზაინი" კლასიფიცირდება დეტალური სფეროს მეორე სვეტში - „0731.2.2 გარემოს დიზაინი". მისი თქმით, მეორე სვეტში არის მაგისტრატურის საფეხური, თუმცა პროგრამა თავისი შინაარსითა და კომპონენტებით ნამდვილად არის საბაკალავრო დონის. რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს პროგრამის სახელწოდება, მიზანი და სწავლის შედეგები. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანში აქცენტი გაკეთებულია გარემოს დიზაინზე, ხოლო სწავლის შედეგში გაწერილია შემდეგი: „გარემოს დიზაინის მიმართულებით კურსდამთავრებულს ეცოდინება პროექტის გაკეთება და ა.შ. ნინო ხაბეიშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ,,გარემოს დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემულ ყველა რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ პროგრამების კლასტერულ აკრედიტაციამდე ყველა რეკომენდაცია შესრულებული იქნება. მისი თქმით, ,,არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი უკვე შესრულებულია და ახლაც მიმდინარეობს მათი შესრულება. ,,გარემოს დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამამ შეიცვალა სახელი, კერძოდ ერქვა „სივრცითი დიზაინი“ და შეიცვალა „გარემოს დიზაინით“. მისი თქმით, პროგრამის სახელის შეცვლა არაფერს არ ნიშნავს. მთავარია, რომ პროგრამის შინაარსი შეიცვალოს და მოვიდეს შესაბამის მოთხოვნებთან. ამრიგად, უნივერსიტეტმა ორივე პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციები სრულად გაიზიარა, რომლებიც ახლო მომავალში გამოსწორდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:34
დასრულების დრო: 15:37

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესასრულებლად 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას ,,არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

რეკომენდაციები:
1.რეკომენდებულია „სწავლის შედეგების შეფასების" რუკაში მიეთითოს პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსი და მათი როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).
2.რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში ცხადად აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, ასევე თავისუფალი კომპნეტების არჩევითობის შესაძლებლობა.
3.რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დაკორექტირდეს/დაზუსტდეს: „დაშვების წინაპირობები", სწავლის შედეგ ბის ფორმულირება, რათა სწავლის შედეგები გახდეს მკაფიო, რეალისტური და გაზომვადი, ასევე გამოირიცხოს სხვადასხვა სასწავლო კურსებში მისაღწევი შედეგების დუბლირება და ზუსტად მიეთითოს სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალებების რაოდენობა.
4. რეკომენდებულია ყოველი კონკეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სილაბუსებში მითითებული მიზნის განსაზღვრა.
5.რეკომენდებულია, გადაიხედოს ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდეს მითითებული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის ჭრილში.
6.რეკომენდებულია ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის კურიკულუმში მითითებული სასწავლო კურსების დასახელებები.
7.რადგან პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ არის უცხოური ენის ფლობა, სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად უნდა იყოს გამოყენებული ქართულენოვანი ლიტერატურა ან უცხოენოვანი ლიტერატურის საფუძველზე შექმნილი ქართულენოვანი სასწავლო მასალა.
8.რეკომენდებულია, სილაბუსებში ლიტერატურა ისეთი ფორმით იყოს მითითებული, რომ იძლეოდეს სრულ ინფორმაციას სახელმძღვანელოს ავტორის, დასახელების, გამომცემლობის, გამოცემის ადგილისა და წლის შესახებ.
9.რეკომენდებულია გაუქმდეს სილაბუსებში მითითებული „დასწრება", როგორც შეფასების მეთოდი, და მისი ქულობრივი ექვივალენტი გადანაწილდეს შუალედური შეფასებების სხვა

კომპონენტებზე, რადგან „დასწრება“ არ წარმოადგენს შეფასების მეთოდს ანუ „საგანმანათ ლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება“.
10.რეკომენდებულია შეფასების მეთოდის „აქტივობა“ შემთხვევაში დაზუსტდეს მისი შინაარსი.

რჩევები:
1.კურიკულუმში „პროგრამის მიზნები“-ს ველში ზედმეტია იმის აღწერა თუ სად შეუძლია დასაქმდეს კურსდამთავრებული, თუმცა ჩანაწერი „ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ შეძლებს არქიტექტურული პროექტის შექმნას და განხორციელებას“ - მნიშვნელოვანია ბაკალავრიატის საფეხურისთვის. ამასთან დაკავშირებით სასურველია, მოყვანილი გარემოების გათვალისწინებით მოხდეს პროგრამის მიზნის დაკორექტირება.
2. მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში არსებული ჩანაწერი „პროგრამის შემადგენელი საგნები/მოდულები (არქიტექტურა ბაკალავრიატი) 2012-2016“ და მიეთითოს რელევანტური თარიღი.
3. მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში არსებული ჩანაწერი პროგრამის დამტკიცების აქტის (აკადემიური საბჭოს ოქმი#8, 27.06.2011) შესახებ და მიეთითოს მოდიფიცირებული პროგრამის დამტკიცების აქტის ნომერი და თარიღი.
4. სასურველია გადაიხედოს კურიკულუმში მოყვანილი „დასაქმების სფეროს“ ჩამონათვალი.
5. პროგრამის უკეთ კითხვადობის მიზნით, კურიკულუმში - ველში „პროგრამის შემადგენელი საგნები/ მოდულები“ სასურველია მითითებული იყოს ყოველი სასწავლო კურსი და არა კომპონენტის ზოგადი დასახელება.
6. მიზანშეწონილია „საბაკალავრო ნაშრომის (არქიტექტურული პროექტის) დაცვის წესში“, კერძოდ კი, „ხელმძღვანელის დანიშვნის წესში“, არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო პროექტის ხელმძღვანელს ნიშნავს ფაკულტეტის აკადემიური საბჭო“ მოვიდეს შესაბამისობაში განათლების საფეხურთან.
7. თუ დაწესებულება უშვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე და მობილობით პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესაძლებლობას, მაშინ სასურველია აღნიშნული იყოს მითითებული პროგრამის კურიკულუმში და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში.
8. შპს „ერდო“-სთან გაფორმებულ მემორანდუმში პირველი აბზაცის ბოლოს შპს „ერდო“-ს ნაცვლად წერია „ნიკოლო და ვაჟები“. სასურველია ამ უზუსტობის დაკორექტირება.
9. პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში, უარყოფითი შეფასების (FX) შემთხვევაში მიზანშეწონილია დაზუსტდეს, რომ საუბარია „დამატებით“ გამოცდაზე, რომელზეც სტუდენტს ეძლევა გასვლის უფლება.
10. სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, კურიკულუმში და სილაბუსებში მიზანშეწონილია მიეთითოს, რომ დამატებით გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
11. მიზანშეწონილია დაკორექტირდეს და ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს როგორც საბაკალავრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით პროგრამის კურიკულუმში (დანართი „შუალედური შეფასების კრიტერიუმები“), ისე სილაბუსში მითითებული შეფასების ქულები და კრიტერიუმები.
12. სასურველია პერსონალის პირადი საქმეების (CV) განახლება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,გარემოს დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესასრულებლად 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას ,,გარემოს დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

რეკომენდაციები:
1.აუცილებელია პროგრამის დასახელება „გარემოს დიზაინი", პროგრამის მიზანი, ასევე გარკვეულწილად - შედეგები და პროგრამის შინაარსი, მოვიდეს შესაბამისობაში „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან".
2.რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში წამყვანი იყოს არქიტექტურული პროექტირების და არა გარემოს დიზაინის დაგეგმარების საკითხები. ასევე სწავლის შედეგებში უნდა აისახოს: ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში - რომ კურსდამთავრებული აცნობიერებს არქიტექტურულ ფასეულობებს და კონტექსტებს, ასევე, გარემოს დაცვასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობებს; შენობა-ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესებში აცნობიერებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, დარგობრივ სამართლებრივ რეგულაციებს. უნარების ნაწილში - უნდა იკვეთებოდეს, რომ კურსდამთავრებული წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად ქმნის არქიტექტურულ პროექტს, ამუშავებს და დოკუმენტურად აფორმებს არქიტექტურულ პროექტს და შესაბამის პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში, ერთდროულად ითვალისწინებს და ასახავს კონსტრუქციებს, ტექნოლოგიებს, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკურ და საექსპლუატაციო თვისებებს, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს. მით უფრო, რომ თავად პროგრამაში არსებულ სასწავლო კურსებში გარკვეულ წილად ასახულია ზემოთმოყვანილი მიმართულებები.
3.რეკომენდებულია, „სწავლის შედეგების" რუკაში მიეთითოს პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსი და მათი როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).
4.რეკომენდებულია „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი"-ს, მუხლი 6-ის მე-6 პუნქტით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად, პროგრამის კურიკულუმში ცხადად აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, ასევე თავისუფალი კომპონენტები.
5. რეკომენდებულია გადაიხედოს და ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის კურიკულუმში ყველა ადგილას მითითებული სასწავლო კურსების დასახელებები.
6.რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დაკორექტირდეს/დაზუსტდეს: მიზნები, „დაშვების წინაპირობები", სწავლის

შედეგების ფორმულირება, რათა სწავლის შედეგები გახდეს მკაფიო, რეალისტური და გაზომვადი, ასევე გამოირიცხოს სხვადასხვა სასწავლო კურსებში მისაღწევი შედეგების დუბლირება.
7.რეკომენდებულია ყოველ სასწავლო კურსთან მიმართებაში კურიკულუმით განსაზღვრულ კრედიტების რაოდენობასთან შესაბამისობაში მოვიდეს მათ სილაბუსებში მითითებული კრედიტების რაოდენობა.
8.რეკომენდებულია, გადაიხედოს ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდეს მითითებული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის ჭრილში.
9.რეკომენდირებულია ყოველი სასწავლო კურსისთვის მოხდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის დაკონკრეტება.
10.რეკომენდებულია, სილაბუსებში ლიტერატურა ისეთი ფორმით იყოს მითითებული, რომ იძლეოდეს სრულ ინფორმაციას სახელმძღვანელოს ავტორის, დასახელების, გამომცემლობის, გამოცემის ადგილისა და წლის შესახებ.
11.რეკომენდებულია გაუქმდეს სილაბუსებში მითითებული „დასწრება“, როგორც შეფასების მეთოდი, და მისი ქულობრივი ექვივალენტი გადანაწილდეს შუალედური შეფასებების სხვა კომპონენტებზე, რადგან „დასწრება“ არ წარმოადგენს შეფასების მეთოდს ანუ „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება“.
12.რეკომენდებულია შეფასების მეთოდის „აქტივობა“ შემთხვევაში დაზუსტდეს მისი შინაარსი.

რჩევები :
1.მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში არსებული ჩანაწერი პროგრამის დამტკიცების აქტის (აკადემიური საბჭოს ოქმი #8, 27.06.2011) შესახებ და მიეთითოს მოდიფიცირებული პროგრამის დამტკიცების აქტის ნომერი და თარიღი.
2.იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - არქიტექტურის ბაკალავრი, მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის ძირითად საგანთა ველი, რათა პროგრამამ სრულყოფილად უზრუნველყოს არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა - მაგ. სასურველია პროგრამაში ქალაქგეგმარების კომპონენტის გაძლიერება, ასევე გარემოს დაცვასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობების, დარგობრივი სამართლებრივი რეგულაციების მომცველი კურსების დამატება.
3. სასურველია გადაიხედოს კურიკულუმში მოყვანილი „დასაქმების სფეროს“ ჩამონათვალი.
4. პროგრამის უკეთ კითხვადობის მიზნით, კურიკულუმში - ველში „პროგრამის შემადგენელი საგნები/ მოდულები“ სასურველია მითითებული იყოს ყოველი სასწავლო კურსი და არა კომპონენტის ზოგადი დასახელება.
5.მიზანშეწონილია „საბაკალავრო ნაშრომის (გარემოს დიზაინის საბაკალავრო ნაშრომის) დაცვის წესში“, კერძოდ კი, „ხელმძღვანელის დანიშვნის წესში“, არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო პროექტის ხელმძღვანელს ნიშნავს ფაკულტეტის აკადემიური საბჭო“ მოვიდეს შესაბამისობაში განათლების საფეხურთან.
6.მიზანშეწონილია დაზუსტდეს, რა მოიაზრება „თსსა-ის მისაღებ გამოცდაში“.
7. თუ დაწესებულება უშვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე და მობილობით პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესაძლებლობას, მაშინ სასურველია აღნიშნული იყოს მითითებული პროგრამის კურიკულუმში და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში.
8. შპს „ერდო“-სთან გაფორმებულ მემორანდუმში პირველი აბზაცის ბოლოს შპს „ერდო“-ს ნაცვლად წერია „ნიკოლო და ვაჟები“. სასურველია ამ უზუსტობის დაკორექტირება.

9.პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში, უარყოფითი შეფასების (FX) შემთხვევაში მიზანშეწონილია დაზუსტდეს, რომ საუბარია „დამატებით“ გამოცდაზე, რომელზეც სტუდენტს ეძლევა გასვლის უფლება.
10.სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, კურიკულუმში და სილაბუსებში მიზანშეწონილია მიეთითოს, რომ დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
11.მიზანშეწონილია დაკორექტირდეს და ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს როგორც საბაკალავრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით პროგრამის კურიკულუმში (დანართი „შუალედური შეფასების კრიტერიუმები“), ისე სილაბუსში მითითებული შეფასების ქულები და კრიტერიუმები.
12.სასურველია პერსონალის პირადი საქმეების (CV) განახლება

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვა დასრულდა 15:38 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ჭელიძე გურანდა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი